ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№27 (61) აგვისტო, 2007 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაღიაროთ უფალი, ვემსახურეთ სიმართლეს —წმიდანნი ჩვენთან იქნებიან

ლეჩხუმი იმ დიდი მადლის და სიწმინდის მფლობელია, რომელსაც უდიდესი მაქსიმე აღმსარებლის საფლავი ჰქვია, წმიდანის, რომლის ცხოვრების, მოღვაწეობის და აღმოყვანების ისტორიაც ბევრჯერ გაგვიცვნია ჩვენი მკითხველისათვის, რომლის შესახებაც მრავალი ნაშრომი შეიქმნა სხვადასხვა მეცნიერთა მიერ, ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, რაშიც აქტიურად გახლავთ ჩართული ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე.

მიუხედავად იმისა, რომ წმიდა მაქსიმეს სრულყოფილი ისტორია ჯერ კიდევ ძიებაშია, სადაო ის საკითხი ნამდვილად აღარ გახლავთ რომ მისი წმიდა ნაწილები მურის კლდეკარში, მისივე სახელობის პატარა ტაძარშია დაკრძალული, მართლმადიდებლობა წმიდა მაქსიმეს წელიწადში ორჯერ 3 თებერვალს და 26 აგვისტოს იხსენებს.

კიდევ ერთხელ იზეიმა ლეჩხუმმა წმიდა მაქსიმობა, უამრავი სტუმარი ეწვია ჩვენს მშვენიერ კუთხეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, საღამოს ლოცვას ნელ-ნელა უერთდებოდნენ მომლოცველები, ლოცვას რომელსაც გორისა და სამთავისის მეუფე ანდრია და ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე აღავლენდნენ.

საღამოს ლოცვის ბოლოს მეუფე ანდრიამ მიულოცა მრევლს დღესასწაული, კიდევ ერთხელ შეგვახსენა აქაურებს, რა დიდი სიწმიდის პატივი გვაქვს და რომ ამ სიწმიდეს განსაკუთრებული მოფრთხილა და ღირსეული პატივის მიგება ესაჭიროება.

საღამოს ამ დღისთვის სარაიონო კულტურის სახლის მიერ სახელდახელოდ მომზადებული კონცერტი მოეწყო, რომელსაც ეპისკოპოსები, მღვდელმთავრები მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი ვახტანგ კერესელიძე და თითქმის ყველა სტუმარი ესწრებოდა.

კონცერტში მონაწილეობდა სარაიონო კულტურის სახლთან არსებული აკადემიური გუნდი (ხელმძღვანელი რუსუდან ყურაშვილი), ვაჟთა გუნდი (ხელმძღვანელი სპარტაკ კვირიკაშვილი), ჩვენი ცნობილი მომღერლები, ქალთა ჯგუფი და სხვები, მათ დამსწრეთ საკმაოდ მაღალი დონე აჩვენეს და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს.

დილით ცისკარზე ნირვა აღევლინა წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ტაძარში, შემდეგ კი, ათ საათზე ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, მეუფე სტეფანესთან ერთად ოთხი სამწყსოს წინამძღვარი სწირავდა, განსაკუთრებული მადლით ბრწყინავდა ჩვენი ტაძარი.

წირვის დასასრულს სადღესასწაულო ქადაგება მეუფე სტეფანემ დაიწყო „გილოცავთ მაქსიმობის დღესასწაულს, რომელიც დღითიდღე იკრებს ძალას, ეს დღესასწაული გარკვეული დროის წინ მივიწყებული იყო, სათნადოდ არ აღნიშნავდნენ, ეს იყო უღმერთობის პერიოდი, რომელმაც მთელს საქართველოს დაასვა დაღი, დღესასწაული, მიუხედავად ამისა იბრუნებს თავის ღირსებას, მინდა ყველას გისურვოთ რწმენაში გაძლიერება, წმინდა მაქსიმეს მადლი ჰფარავდეს ყოველ ჩვენთაგანს.“

ფოთისა და სხალთის მიტროპოლიტი გრიგოლი: „გილოცავთ ამ დიდებულ და ლამაზ დღესასწაულს, ეს არის იმ დიდი წმიდნის ხსენების დღე, რომელიც გახლავთ მაგალითი იმისა როგორი უნდა იყოს მართლმადიდებელი, მქადაგებელი, აღმსარებელი. ყოველივე ეს ღმერთმა უხვად მიანიჭა მაქსიმე აღმსარებელს და ამ დიდმა მოღვაწემ განამრავლა იგი და განსაკუთრებულად ჩააყენა მართლმადიდებლობის სამსახურში, გვაჩვენა როგორი უნდა იყოს ქრისტეს სამსახურში ადამიანი, მან უსაზღვრო განსაცდელი დაითმინა იმისთვის, რომ ერთგულება შეენახა ქრისტესი. ენაც კი მოაჭრეს მჭევრმეტყველ მქადაგებელს, თუმცა ამან ვერ დაახშო ბაგენი მისი. საქართველო შეიქმნა ღირსი იმ მადლისა, რომ აქ ეღვაწა უცხოეთიდან ჩამოსულ წმიდანს, შემდეგ კი განსასვენებელიც აქ ჰპოვა. იგი დღესაც მრავალ ადამიანს ამხნევებს, თუ როგორ უნდა დაითმინოს განსაცდელი, გილოცავთ ყველას, ვულოცავ მეუფე სტეფანეს, მართლმადიდებლობის მადლით გეაროთ ყოველთვის“.

ბათუმისა და ქობულეთის მიტროპოლიტი დიმიტრი: „მაქსიმე აღმსარებლის ხსენების დღეს ფრიად გვიხარია ამ კუთხეში ჩამოსვლა, რამეთუ აქ არის ძვალთაშესალაგი უდიდესი მოქადაგის, წმიდა ზირაქი ამბობს ბიბლიაში, სიკვდილამდე ემსახურე სიმართლეს და უფალი ღმერთი შენთვის იბრძოლებსო“, უდიდესი მაგალითია ამისა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება. საზოგადოებაში გავრცელებული აზრი იმისა, რომ დიპლომატია კარგია, მცდარია, ბიბლიაში ნათქვამია—უნდა თქვა ან ჰო, ან—არა. მაქსიმე აღმსარებელი სამაგალითოა თითოეული ჩვენთაგანისათვის, მისი მადლი შეგწეოდეთ ყველა თქვენგანს. ჩვენთან არს ღმერთი!“

მაქსიმობა

სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსი შიო: „...ჩვენ ხშირად შეგნებულად თუ შეუგნებლად ვცოდავთ, ჩვენ გვგონია თავი ბატონ-პატრონი იმ საოცრებისა, რაც უფალმა დაგვიტოვა. გვავიწყდება უფლის სიტყვები—უჩემოდ არ შეგიძლიათ არაფერი. დავფიქრდეთ საკუთარ თავზე და შევეცადოთ გამოსწორდეთ, ვადიდოთ უფალი, ისეთი დიდი მამები, როგორც მაქსიმე აღმსარებელია, ყოველთვის ჩვენთან იქნებიან— ჩვენთან არს ღმერთი!“

მრევლი დალოცა ნიკორწმინდელმა მთავარეპისკოპოსმა ელისემ.

დაბოლოს, მეუფე სტეფანემ მადლობა გადაუხადა მეუფეებს ჩამობრძანებისათვის.

ზარების რეკვით და ლიტანიობით მრევლმა და ეკლესიის მსახურებმა მაქსიმე აღმსარებლის საფლავზე გადაინაცვლეს, სადაც პარაკლისი აღევლინა.

საზეიმო დღე საზეიმო ტრაპეზით დასრულდა და სტუმარნიც და მასპინძელნიც კიდევ ერთი მადლიანი დღის კმაყოფილებით გამოემშვიდობდნენ ერთმანეთს.

წმიდა მაქსიმე გვფარავდეს თითოეულ ჩვენთაგანს!

თამარ დავითულიანი

საკრებულოს სხდომაზე

2007 წლის 22 აგვისტოს შედგა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელზედაც განიხილეს „ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის“ 2007 წლის 8 თებერვლის დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის, მიმდინარე წლის 2 აგვისტოს სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი და წვიმა) შედეგად დაზიანებულ ოჯახებზე დახმარების გაწევის, ქ. ცაგერში გოლეთიანის ქუჩის სტიქიისაგან დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის სამუშაოებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ საკითხები.

საკრებულოს სხდომამ მიიღო შესაბამისი დადგენილებები და განკარგულებები.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო—ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

განიხილეს აქტუალური საკითხები

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა საკითხი რიაონში იოდდეფიციტით გამოწვეულ დაავადებათა პრევენცია პროფილაქტიკისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ და მიიღო შემდეგი დადგნილება

ეთხოვოს საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრს:

მოავლინოს სპეციალისტები ცაგერის მუნიციპალიტეტში იოდ-დეფიციტის შესასწავლად;

გამოგვიყოს იოდის შემცველი პრეპარატები პროფილაქტიკის მიზნით;

გაითვალისწინოს ცაგერისა და ლენტეხის რაიონებისათვის ჰორმონალური კვლევის ლაბორატორიის შექმნის აუცილებლობა.

მუნიციპალიტეტის გამგეობამ (ვ. კერესელიძე) გამოძებნოს გზა, რომ რაიონის სავაჭრო ქსელში შემოიტანოს იოდიზირებული მარილი და რეგულარულად (ტელევიზიის საშუალებით) მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია მისი მოხმარების აუცილებლობაზე.

გამოინახოს სახსრები, რათა შეძენილ იქნას შესაბამისი სიხშირის მიმღები (დაჩიკი) ექოსკოპიისათვის, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს დაავადებების გამოვლენისა და პროფილაქტიკა—მკურნალობის საქმეს.

ო. ჭაბუკიანი
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუჯეტი:

კომენტარს საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე აკეთებს

ქვეყანაში არსებულმა ძირეულმა, სასიკეთო ძვრებმა ჩვენს პატარა რაიონშიც ჰპოვა ასახვა. ბიუჯეტის აშკარად ზრდამ და მისმა მიზანმიმართულად გამოყენებამ რაიონში ბევრი პრობლემა გადაჭრა. იყო პერიოდი, როცა ბიუჯეტის შემცირებაზე დგებოდა საკითხი. დღეს კი საქმე სხვაგვარად მიდის. რა მდგომარეობაა ამ მხრივ, რა გვქონდა, რა გვაქვს და რა ცვლილებებია მოსალოდნელი უახლოეს მომავალში. ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს **ბეჟან ლურჭუმალიძეს.**

გასულ წლებს თუ გავიხსენებთ, რაიონის ბიუჯეტი ყოველთვის დეფიციტური იყო. ბოლო ორი წელია მდგომარეობა გაუმჯობესდა. 2007 წლისთვის ჩვენმა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა 1,200 ათას ლარს მიაღწია. ეს კი დამეთანხმებით პროგესულია. წლის განმავლობაში რამდენჯერმე გახდა საჭირო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ეს განაპირობა შემოსავლების მნიშვნელოვნად გაზრდამ. საგადასახადო 384 ათასი ლარით, ხოლო არასაგადასახადო შემოსვლები—25 ათასი ლარით გაიზარდა. ეს პროცესი ძირითადად გამოიწვია ს/ს „ლაჯანურეჰესის" მიერ ქონების გადასახადის სრულიად გადახდამ და ნაწილობრივ, ძველი საბიუჯეტო დავალიანებების დაფარვამ. იმის გამო, რომ სახელმწიფოსგან თვითმმართველობაზე ქონების გადმოცემის პროცესი უახლოეს მომავალში დასრულდება, მოსალოდნელია ამ ქონების გაყიდვისაგან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წლის ბოლომდე კიდევ შემოვიდეს დამატებითი თანხები.

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი განსაზღვრულია 1.759,4 ათასი ლარით, რაც ბოლო წლების მონაცემებით პროგრესად მიმაჩნია. რა თქმა უნდა, შემოსავლების ზრდამ განაპირობა ბევრი მოუგვარებელი პრობლემების გადაჭრა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარჯები ეკონომიკაში, კერძოდ, მშენებლობაში, სოციალურ დაცვაში, განათლების, ძირითადად სკოლამდელი აღზრდისა და კულტურის სფეროში. რა თქმა უნდა, პრობლემების ბევრი ნაწილი მოუგვარებელია, მაგრამ 2008 წლისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გაზრდის გათვალისწენება საშუალებას მოგვცემს ნელ-ნელა, თანდათანობით ვაკეთოთ საქმე. აღსანიშნავია, საგზაო დეპარტამენტმა ადგილობრივი გზების შენახვა, —მოვლა გადმოსცა ცაგერის მუნიციპალიტეტს. ამიტომ თანხების განკარგვა სწორედ გზების მოვლა—პატრონობას ხმარდება. მომავალი წლის საბიუჯეტო პროცესი დაწყებულია. გვაქვს კონსულტაციები ფინანსთა სამინისტროსთან და მთავრობასთან,

რომ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები გათვალისწინებული იყოს მაქსიმალურად. (ძირითადად დამოკიდებულნი ვართ ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერზე). წარმოდგენილი გვაქვს პროექტები მთავრობაში, რათა მუნიციპალიტეტის ძალზედ პრობლემატური საკითხების დაფინანსება მოხერხდეს—წყალმომარაგება, კანალიზაცია, გზების რემონტი და სხვა.

ეკა ყვირილიანი

მთავრობის საჩუქარი ლეჩხუმლებს

ივლისში ცაგერს მხარის გუბერნატორი ბატონი ოთარ სირაძე ეწვია, მისი იმდღევანდელი სტუმრობა ფრიად სასიამოვნო თემას ეხებოდა—ცაგერის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობამ 5 ავტობუსი გამოუყო ავტოსადგურის ტერიტორიაზე (სადაც ახალი მშენებლობის ეტაპი მიმდინარეობს), შეკრებილ ლეჩხუმელებს მხარის გუბერნატორმა ეს მოვლენა გულითადად მიულოცა და მათთვის საინტერესო საკითხებს შეეხო, უამრავ შეკითხვასაც ამომწურავი პასუხი გასცა და უკეთესი მომავლის იმედით ლეჩხუმელებს არაერთი სასიკეთო საქმის კეთებას შეპირდა. —„გულწრფელად გილოცავთ დღევანდელ დღეს, ეს ავტობუსები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ლეჩხუმელთა სამგზავრო პირობებს და ეკონომიურ მდგომარეობას. ჩვენ არაერთი სასიკეთო საქმის გაკეთებას ვგეგმავთ მხარეში და კერძოდ ცაგერში. გარკვეულ თანხებს ვხარჯავთ თვით ქალაქის კეთილმოწყობის კუთხით—იგივე გალერიის შესაკეთებლად, მუსიკალური სკოლის რემონტისთვის, იმ საცხოვრებელი კორპუსებისათვის, რომლებსაც სახურავები აქვს დაზიანებული, მთავარი საკითხი კი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულმა თქვენთაგანმა იცოდეს თუ სად და რაში იხარჯება თითოეული თეთრი. ვისაც დაგაინტერესებთ თქვენი ბიუჯეტის ხარჯვის მდგომარეობა, შეგიძლიათ ოფიციალურად მიმართოთ გამგეობას და მოითხოვოთ ინფორმაცია, რადგან იგი საჯაროა და თქვენ ამის სრული უფლება გაქვთ. ძალიან გაინტერესებთ ალბათ სატყეო რეფორმის საკითხები—თუმცა ნებისმიერ რეფორმას თავის ხარვეზებიც ახლავს. ხდება ასეთი რამ —განისაზღვრება ტყეები, რომლებიც გადაეცემა მუნიციპალიტეტებს, მათი სახელწოდება იყო საკოლმეურნეო ტყეები, ახლა კი „სათემო ტყე" დაერქვა. იქნება განსაზღვრული რაოდენობა, როგორც საშეშე, ასევე სამასალე რესურსისა. წლევანდელ წელს მოსახლეობას ამ რეფორმის გამო მართალია ცოტა შეფერხებები შეექმნა, მაგრამ სულ მალე დაიწყება დემარკაცია, ანუ წლევანდელ წელს სატყეო დეპარტამენტი თვითონ გასცემს საშეშე ფონდს. პარალელურად გაგრძელდება გადმობარების პროცესიც.

გზებთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ წელს კეთდება წყალტუბომდე გარკვეული მონაკვეთი, ორმოული შეკეთებით, თუმც მომავალი წლიდან პირდაპირ პრეზიდენტის უშუალო მითითებით ყველა მიმართულებით (ალპანა, წყალტუბო) უკვე დაიწყება სერიოზული მუშაობა, რაც გზებს უცილობლად დაეტყობა. ასე, რომ გზებს, ჯებირებს, წყალს ვუშველით. სერიოზულად ვფიქრობთ ლასურიაშის გზაზე და იმ ხეობაში მცხოვრები მოსახლეობის გასაჭირზე, მანდ დაახლოებით მილიონნახევრიანი პროექტია საჭირო. ამის საშუალება ბუნებრივია ბიუჯეტს არ გააჩნია. ამდენად, საგზაო დეპარტამენტისთვისაც ეს საკითხი ტვირთი აღარ არის. რამდენად ეს გზა ითვლება შიდა—სასოფლო ობიექტად. ამიტომაცაა მისი შეკეთება დაკავშირებული უამრავ სირთულესთან. თუმცა, როგორც კი რაღაც საშუალება გაჩნდება-ხოლმე, იქ გარკვეული სახის სამუშაოები ტარდება, მაგრამ თუ სერიოზული დაფინანსება არ იქნა, ეს ყველაფერი წყალში გადაყრილად ითვლება.

ლადოობასთან დაკავშირებითაც მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა—უნდა დავგეგმოთ ისეთი სერიოზული ღონისძიება, როგორიც ლადოს სულს ეკადრება. ჩვენ ამას შევძლებთ და გავაკეთებთ ერთობლივი ძალისხმევით.

მე კეთილი სურვილებით დროებით დაგემშვიდობებით და წარმატებებს გისურვებთ.!

მხარის გუბერნატორმა ბატონმა ოთარ სირაძემ მხარის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარესთან ომარ ჭაბუკიანთან, გამგებელ ვახტანგ კერესელიძესთან და სხვა სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად დაათვალიერა ქალაქში მიმდინარე სამუშაოები და ობიექტები.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციოანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

ქალბატონ ბაბუცა ევგენის ასულ ბაქრაძეს!

სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. თქვენს მიერ განვლილი გზა მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის. უფროსი და საშუალო თაობის ლეჩხუმელებს მშვენივრად ახსოვთ ბაბუცა ბაქრაძე—ნიჭიერი და დაუვიწყარი მსახიობი, კლუბის დამსახურებული მუშაკი, ჭადრაკში წლების მანძილზე რაიონის ჩემპიონი, რადიორედაქტორი...

და რაც ყველაზე მთავარია, თქვენ სულით ხორცამდე ხართ ქალი—ქართველქალობის ყველა ღირსებით შემკული და საუკეთესო დედა—ჩვენი საზოგადოებისათვის სასარგებლო შვილების აღმზრდელი.

ერთხელ კიდევ გილოცავთ, დღეგრძელობას, მხნეობას გისურვებთ!

გაზეთი „ახალი ლეჩხუმის" რედაქცია

თქვენ აქ ისეთი სითბო დაგტოვეთ!..

რამდენიმე დღის წინ ლეჩხუმს საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაცია სტუმრობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის, უთბილესი და უმშვენიერესი ქალბატონის **დალილა ხორავასა** და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმ–ქვემო სვანეთის წარმომადგენლის ოთარ კუხალაშვილის ხელმძღვანელობით.

დელეგაციის შემადგენლობაში ქ. თბილისის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა პოლიკლინიკის მედპერსონალი შედიოდა, დაახლოებით 30–მდე ექიმი.

სასტუმროში შესულებს უამრავი ლტოლვილი დაგხვდა–მათ ბინებში მოწყობილ სამედიცინო კაბინეტებთან რიგში ჩამდგარიყვნენ და კომპეტენტური, გულისხმიერი და მაღალპროფესიონალი ექიმებისგან ასევე კომპეტენტურ დასკვნებს ელოდნენ. რა თქმა უნდა ქალბატონი დალილა პირველი მოვიძიეთ ინტერვიუსთვის და უნდა გითხრათ, რომ ფისი შინაგანი კულტურით, სითბოთი და თავმდაბლობით ისე მოვიხიბლეთ, მეგობრულად დავშორდით ერთურთს.

ქალბატონმა დალილამ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა:

„აქ დღეს თითქმის ყველა პროფილის ექიმია ჩამოსული და სამი მიმართულებით მიდის მუშაობა–ერთია კონსულტაცია და წამლების დანიშნა, მეორე დიაგნოსტიკა და მესამე ჰუმანიტარული დახმარების გაცემა. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ამ ადამიანებს ეს ყველაფერი გაუხარდებოდათ. არსებობს არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია–„ამქორი," სწორედ მათ მოგვაწოდეს ტვირთი. აბსოლუტურად ყველა ადამიანი, რომელიც გაისინჯება, მიიღებს ამ ჰუმანიტარულ დახმარებას.

ჩამოტანილი გვაქვს ორი უახლესი დიაგნოსტიკური აპარატურა, არ ვაპირებთ შეზღუდვას–თუ მაგალითად ადამიანს სჭირდება ერთი ორგანოს–ვთქვათ, ღვიძლის გასინჯვა, ვეუბნებით ექიმებს, რომ გაისინჯოს მთელი მუცლის ღრუ. რადგან ვიცით, რომ ადამიანებს არა აქვთ საშუალება მუდმივად გაიარონ საექიმო კონსულტაცია, ასევე ჩამოსულია ლაბორატორია, რომელიც სინჯავს ექსტრემალურ მონაცემებს–შაქარი, პროთრომბინი, ჰემოგლობინი და ა. შ. გარკვეული გამოცდილება დაგვიგროვდა ამ სტილზე მუშობისა და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრ უმწეო ადამიანს დავეხმარეთ. თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ, ვინაიდან ჩვენი სამინისტროს მუშაობის ერთ–ერთი ძირითადი პრიორიტეტი სწორედ ესაა. ბატონმა ლადო ჭიპაშვილმა ლეჩხუმში ჩვენი ვიზიტის შესახებ იცის და გუშინ მადლობაც კი გამოგვიცხადა და კეთილი სურვილებით გამოგვაცილა. მე უდიდესი მადლიერი ვარ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელის ბატონი ომარ ჭაბუკიანის დღევანდელი ყურადღებით და თითოეული თქვენგანისა, რომლებმაც არ დაიშურეთ თავალზე. ეს საკითხი ჩემთვის ფაქტიურად უკვე გადაწყვეტილია. მე გვარებს გადავცემ კლინიკას და პრობლემაც მოგვარდება.

–თუ შეიძლება ამ ადამიანებისათვის სხვა დაავადებების პრობლემაც ისე გადაწყდეს, როგორც დავუშვით, თვალის შემთხვევაშია?

–ჩვენ მოვდივართ ისე, რომ ვცდილობთ ადამიანებს არ გავუცრუოთ იმედი! თუ ამბულატორიული გამოკვლევის შემდეგ ვნახეთ, რომ აუცილებელია სტაციონალური მკურნალობა, ჩვენ ყველას აღრიცხვაზე ავიყვანთ და თითოეულ მათგანზე ვიმუშავებთ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი–სოციალური ექსპერტიზის თემა. ძალიან ბევრ მოქალაქეს ახლა მოეხსნა ინვალიდობა. ამას ახალი დანიშნა სჭირდება. ჩვენ ამის სპეციალისტები გვყავს. რამდენიმე ადამიანმა უკვე მომმართა და დავეხმარეთ კიდეც. პირადად ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია ამ ადამიანთა ფსიქოლოგიური სტატუსის დათვალიერება და შესწავლა, რა მდგომარეობაში არიან ისინი, როგორ აფასებენ ისინი თავიანთ მდგომარეობას, როგორ აფასებენ დაბრუნების მოლოდინს. ვამჩნევ, რომ ფუნდამენტალური ცვლილებებია–პირდაპირ გვკითხებიან–დაგვაბრუნებთ თუ არ დაგვაბრუნებთ! ისინი ნებისმიერ შემთხვევაში თანახმა არიან სტატუსის შენარჩუნებისა.

–არის მოარული ხმები, რომ სიღლტაკის ზღვარს მისული დევნილები, მას შემდეგ რაც ამ პროგრამიდან დახმარებას მიიღებენ, ჩამოერთმევათ ლტოლვილის სტატუსი. რამდენად შეეფარდება ეს სიმართლეს?

–ეს არის არასწორად გავრცელებული ინფორმაცია. ამაზე საუბარი საერთოდ არ არის, ყველას უნდა შეუნარჩუნდეს სტატუსი, მაგრამ სულ სხვა რაღაც ხდება დახმარების დანიშნა ხდება, მაგრამ არ ეხსნებათ სტატუსი. საქმე იმაშია, რომ არაფერი არ იცვლება–იყვნენ ერთ პროგრამაში და გადავიდნენ მეორეში მე ყველას ვურჩევ, გადავიდნენ ამ პროგრამაში, ვინაიდან ეს არის სიღარიბის პროგრამა და იღებს ისეთ დიდ შეღავათს, როგორიცაა სადაზღვევო პოლისი, რომელიც 5.000 ლარით არის დაფინანსებული. სახელმწიფო პროგრამა არის ასეთი–ხარ ღარიბი? მიმართე სიღარიბის პროგრამას!

აქ ქალბატონი დალილას ბატონი ოთარ კუხალაშვილი ენაცვლება და გვიხსნის, რომ სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნა იყო მთიანი რეგიონების, მემართ მეტი ყურადღების გამჩენი. რწმენა დაკარგულ ადამიანებს რწმენა თუ არ დაუბრუნეთ, ისე არასოდეს არაფერი გამოგვივა. ადამიანები, რომლებიც ხელჩაჭნეული არიან და ფიქრობენ –„მერე რა, თუ მინისტრი ჩამოვიდა, რას გაიკეთებს"–ო, სწორედ ამ სტერეოტიპიტს დამსხვრევას ვცდილობთ. ქალბატონმა დალილამ ყველაფერი გაიკეთა იმისათვის, რომ დღევანდელი აქცია შემდგარიყო. მე დღეს ვიგრძენი, რომ ვარ ხელმძღვანელი, რომ ადამიანებს ვაჩუქეთ სიხარული. უღრმესი მადლობა საკრებულოს თავმჯდომარეს, მთელ საკრებულოს, გამგებლის მოადგილეს, ყველას, ვინც გამოგვეხმაურა. ჩვენ ამ აქციით შეგვიძლია მოვეშახეროთ ნებისმიერ ლეჩხუმელს, უმწეო ადამიანებს. ჩვენ ვარიგებთ ჰიგიენურ ტვირთს და ქალბატონ დალილას მინდა ვუთხრა, რომ ხალხი ძალიან მადლიერია. ზოგჯერ არის ასეთი შიში ხელმძღვანელობაში–არაფერი მაქვს, ხელცარელი მოსახლეობას როგორ მივადგეო. „კი" და „არა" ორივე პასუხია.

ალუდა კვირიკაშვილი, რომელსაც უშუალოდ ევალება მუნიციპალიტეტის ლტოლვილთა მდგომარეობის რეგულირება, საუბარში გვერთვება და ლტოლვილების სახელით მადლობას უხდის მთელს დელეგაციას ჰუმანიტარულ აქციისთვის და აღნიშნავს, რომ ასეთი აქციები უცხო არ არის ქალბატონი დალილსგან და ბატონი ოთარისგან.

ჩვენ ჩვენი სახელით და მოსახლეობის სახელით კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადეთ დელეგაციის ხელმძღვანელს და მის თითოეულ წევრს.

მარინა სვანიძე

„უკეთესი ცხოვრების მოლოდინით!..

მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული ძირითად ფაზაში შევიდა და სკოლები კარგა ხანია მიჩუმდა, ჩვენი პედაგოგები და ბავშვები თავიანთ შემოქმედებით მუშაობას კვლავ აგრძელებენ და წარმატებებსაც აღწევენ.

ამჯერად ლასურიაშის სკოლის მოსწავლეთა წარმატებებზე გვინდა მოგითხროთ: ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ეროვნულმა და საერთაშორისო სასწავლო ცენტრმა და განათლების სამინისტრომ, გამომცემლობა „დიოგენემ," თბილისის პედაგოგ–ისტორიკოსთა კლუბმა „მემკვიდრემ" კონკურსი გამოაცხადა. ლასურიაშის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა თორნიკე და ნიკა ჭაბუკიანებმა, გურამ მუშკუდიანმა და გრიგოლ ზურაბიანმა პედაგოგ ნინო ლაკვეხელიანის ხელმძღვანელობით თემის დამუშავება დიწყეს და სათაურიც შთამბეჭდავი დაარქვეს –„უკეთესი მომავლის მოლოდინში." გაიგზავნა კონცეფცია, რომელმაც გაიარა ყველა ის ბარიერი, რაც დებულებებში იყო გათვლილი და ყველაფერი II ტურამდე–პრეზენტაციამდე მივიდა. ბავშვებმა შეადგინეს პროექტი, ანუ პრობლემების მოგვარების მათებური ვარიანტი, სადაც ლასურიაშის გზის შეკეთების იაფი კუთხით მოგვარებასაც გულისხმობდნენ თავიანთი ბავშვური შეხედულებებით, ეს ყველაფერი კი ჩვენი სოფლების დაცლის საშიშროების ასაცილებლად იყო გათვლილი.

პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა და მეორე საპატიო ადგილიც მიიღეს, რომ არა ინტერნეტის არ არსებობა, პირველ ადგილს დავიმსახურებდითო!"–აღნიშნავს მათი ხელმძღვანელი.

პროექტი იმდენად წარმატებულად ჩათვალეს, რომ „ირმის ნახტომის" ვებ–გვერდზე განთავსდა. ბავშვები პრეზიდენტის მიწვევით განმუხურის ბანაკში დასვენებითაც დააჯილდოვეს.

კონკურსის I ეტაპი მშობლებისა და პედაგოგის ხარჯებით განხორციელდა, ხოლო მეორე ეტაპზე, დაჯილდოებაზე, სადაც საპატიო სტუმრის სტატუსით უნდა წარმდგარიყვნენ პრობლემები გაუჩნდათ და „რომ არა მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ ვახტანგ კერესელიძის, საკრებულოს თავმჯდომარის ომარ ჭაბუკიანის, გამგეობის აპარატის უფროსის კახა კოპალიანისა და მძღოლ გია კოპალიანის მონდომება, ჩვენ ვერც წავიდოდით და ვერც გავიმარჯვებდითო!.." განსაკუთრებით მადლიერებას გამოთქვამენ ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ნუგზარ კოპალიანის და მეცნიერ–მუშაკის ქალბატონ თინა საღინაძის მისამართით. ბიჭებს კი სულიერ გაძლიერებაში ღღედაღამ გვერდში ედგა ლასურიაშის მონასტრის ბერ–მონაზონი, მამა ცოტნე.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, კიდევ მრავალი წარმატება გევლოთ ცხოვრების გზაზე და წინ გელით „უკეთესი ცხოვრების მოლოდინთ!"

მარინა სვანიძე

ჩვენ გვწერენ

ექიმო, თქვენ რწმენა დამიბრუნეთ

ხერხემლით მძიმედ დაავადებული კარგა ხანს ვმკურნალობდი. შემდეგ ოპერაცია თბილისში გავიკეთე. გარკვეულ დროში ფეხზე უნდა დავმდგარიყავი, მაგრამ ასე არ მოხდა.–თითქოს ორი წელი გავიდა და ჯოხის დახმარებით კარის ზღურბლამდე ძლივს მივდივარ.

გადამეწურა იმედი. არ ვიცი რა მოხდა, ასეთი უშედეგო ოპერაციას რა აზრი ჰქონდა. ცხადია, ხელი ჩავიქნიე, გაღიზიანებული ვარ.

ამას წინათ ტელეფონი ავიღე და ექიმ ჯონი გოლეთიანს შევეხმიანე, ჩემი გასაჭირი მოვუყევი, რჩევა ვკითხე. მომეფერა, დამამშვიდა გნახავო დამპირდა.

მეორე დღესვე ექიმი ჩემს სასთუმალთან გაჩნდა. თითქოს ღმერთმა შემოიხედა ოჯახში. გამსინჯა, დეტალურად გამომკითხა ყველაფერი და იმხელა რწმენა შემოიტანა ჩემში, ენით ვერ გამოვხატავ.

ექიმმა სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა. არ ვაჭარბებ პირდაპირ სასწაული მოახდინა ახლა ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ, იმედი ჩამესახა, სიარულსაც მოვუმატე, მის დანიშნულებას ვიღებ მწამს ხვალ უკეთ ვიქნები.

გმადლობთ ექიმო! თქვენი იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა მე, ჩემს ოჯახს, ლეჩხუმელებს.

თქვენ უამრავი მლოცველი გყავთ.

ასკალონ სვანიძე

სოფ. სანორჩი

ზაფხულია, ჩვენს ქალაქში ბევრი სტუმარია. ჩვენც ვიწონებთ თავს ულამაზესი ბუნებით, სტუმართმოყვარეობით. მარტო ქალაქის დასასვენებელი პარკი რად ღირს–სუფთა, გრილი, ასწლოვანი ხეებით მოჩრდილული, მშვენიერი წალკოტით.

მაგრამ, ელემენტალურიც ბევრი აკლია ქალაქს. ერთი საზოგადოებრივი ტუალეტი არ ფუნქციონირებს. გაზეთში ამის თაობაზე ადრეც დაიწერა.

ნუთუ ასე ძნელია ერთი კეთილმოწყობილი ტუალეტის აშენება, ნუთუ ასე დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული?

სხვათაშორის, ერთხელ კიდევ ამ თემაზე ხმის ამაღლება სტუმრების მინიშნებამ გვიკარნახა–ეს არ გეკადრებათო.

ქალაქის მცხოვრებნი

ჩემთვის ახლობელი ეს ოჯახი ქვედა ცაგერში ცხოვრობს. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი თამარ და დიდიმი შუბულიანები ტყესა და ველს ასწორებდნენ, რომ შვილებს ალალი ლუკმა არ მოკლებოდათ. ღმერთმა მათ 5 ანგელოზისდარი შვილი აჩუქა_4 ბიჭი და ერთი გოგო და 5-ივეს სილამაზე და ნიჭი დაანათლა. სიყვარული, სითბო, ბედნიერება დღითიდღე აძლიერებდა შუბულიანების ფუძეს. მამის მსგავსად თითქმის 5-ივეს ხატვა აინტერესებდა_გატაცებით ხატავდნენ ქალალდზე, კედელზე, ჩხირკედელაობდნენ ხეზე, ქვაზე...

ბედნიერებისათვის ცოტა რამ ყოფნიდათ: დედის გამომცხვარი თონიდან ამოღებული ცხელი პურები, ყველი, მწვანილი და ყველაზე ძვარფასი საჩუქრები_ქალალდი, ფანქრები, ფუნჯი და აკვარელი...

გვიან საღამოს 5 წყვილი თვალი რომ სიყვარულით შესციცინებდა დედ-მამის დალლილ თვალებს, ახალი ენერგია გაჩნდებოდა, ახალი დღე ახალი იმედით თენდებოდა ცოლ-ქმრისათვის.

ის იყო წამოიჩიტნენ შვილები, რომ მამა გამოეცალათ, არაჩვეულებრივი მამა, სოფელში შრომითა და პატიოსნებით გამორჩეული ყველასათვის საყვარელი პიროვნება.

დედას შავი ლეჩაქი და უსაშველო ტვირთი არგუნა განგებამ. ძუ ვეფხვივით გადაიქცა, დღე და ღამე გაასწორა. ღმერთმა განსაცდელის გამკლავების ზღვა ძალა მისცა ამ კაფანდარა ქალს, მხნეობა მისცა.

დრო კი მიფრინავს... შვილებმა უმაღლესი განათლება მიიღეს, ყველას მიუჩინათ თავ-თავისი გზა ცხოვრებამ.

შუბულიანების უფროსი შვილი მამუკა მხატვარია და ოჯახით სენაჟში ცხოვრობს. ამჟამად მოსკოვშია და ქვაზე ხატვითაა დაკავებული. მისი ვაჟი გიორგიც მხატვარია და კარგი მომავლის მქონე.

კობა_ისტორიკოსი, იგი ცაგერში ცხოვრობს ცოლ-შვილით, პოლიციის წამყვანი თანამშრომელია, თუმც ხატვა მისთვისაც ძალზე ახლობელია.

ნინო_4 ძმის საფიცარი ულამაზესი და_თბილისშია ოჯახით. მისი ერთ-ერთი ქალიშვილი კი მხატვარ-დიზაინერია.

მახარე_მეხუთე შვილია_ნაბოლარაა, მალალი, ლამაზი, სანდომანი ყმაწვილკაცი. პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. თავისთავს კარგ ხელოსანს ეძახის, მაგრამ ისიც ხელოვანია_რა არ გამოუდის ხელიდან. ავეჯის საამქროში მუშაობს და შემკვეთებიც ბლომად ჰყავს.

დათო_შეგნებულად გამოვტოვე. ხშირად მიფიქრია მასზე: თავისთავადი პიროვნებაა. დადის უჩუმრად, შემოქმედის შთაგონებული მზერით, ხშირად საკუთარ სამყაროში ჩამყუდროებული, სიტყვაძვირი და მშვიდი, თავაზიანი და კეთილი ბუნებით გამორჩეული.

სწორედ დათო შუბულიანთან_ამ საინტერესო ახალგაზრდა მხატვართან დიალოგზე წასვლა გადავწყვიტე.

ᲩᲔᲜᲘᲗᲕᲘᲡ ᲣᲧᲕᲚᲐᲩᲔ ᲓᲦᲔ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ

დათო თანაკურსელებთან ერთად

—დათო! რამდენადაც ვიცი, 90-იან წლებში დაამთავრე აკადემია. მძიმე წლები იდგა და ეს განსაკუთრებით აისახა ახალგაზრდობაზე. მით უფრო ინტელექტუალებზე. რას გაიხსენებ?

—1998 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დაზგური გრაფიკის სპეციალობით. მართლაც საშინელი დრო იყო. სამუშაოს შოვნის არანაირი შანსი არ ჩანდა. მე კი არა, პროფესორ—მასწავლებლები დარჩნენ უმუშევრები. ქალაქს მაინც განსაკუთრებულად უჭირდა და მეც აქით გამოვეშურე.

—მიუხედავად ყველაფრისა, როგორც წარჩინებულ კურსდამთავრებულს, ხომ არ გქონდა რაიმე შემოთავაზება?

—იყო რაღაც რექტორისაგან, მაგრამ უარი ვთქვი.

—ხომ არ ნანობ? აშკარაა, რომ ნიჭის რეალიზების შანსი დედაქალაქში მეტი გქონდა.

—პირადი კეთილდღეობის თვალსაზრისით შეიძლება ყველაფერი სხვანაირად წარმართულიყო, მაგრამ არ ვნანობ. მიწაზე მყარად დავეშვი, რეალობას თვალებში ჩავხედე, ცხოვრება ყველაზე დიდი აკადემია და შთაგონება ყოფილა.

—გოეთეს თქმით ხომ მხატვარი ცალი ხელით ცას უნდა ეხებოდეს, მეორეთი მიწას...

—კი, მაღლა ფრენაც საჭიროა ხანდახან საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვა. მაგრამ არ უნდა იყოს გვიან. საერთოდ, მხატვრობაში გვიან ხდება ხოლმე დაალაგო ყველაფერი, ჩამოყალიბდე როგორც პროფესიონალი და პიროვნება.

—ეს ილუზია ხომ არ არის?

—დრო მართლაც დროზე ჩქარა მიდის, 39 წელი საკმაოდ სერიოზული ასაკია, ჩემის აზრით საკმაოდ მოვასწარი. ვმუშაობ ხეზე, ქვაში, გრაფიკაში... ვარ სოფელში და ახლოს ადამიანებთან, ცხოვრებასთან.

—ვიცი, არა ერთი გამოფენა—კონკურსის მონაწილე ხარ შენი ხეზე ნამუშევრები ცაგერის სურათების გალერიაშია გამოფენილი და დამთვალიერებელთა ინტერესს იწვევს. პერსონალურ გამოფენაზე თუ გიფიქრია?

—არა ვარ მაინცდამაინც დაინტერესებული სხვანაირად არ ჩამომართმევთ—ფიროსმანისა არ იყოს: მეხატება და ვხატავ. ამბიციები მე საკუთარ შესაძლებლობებსა და საკუთარ სამყაროში მაქვს.

—შენი ნამუშევრები ხომ არ გაგიყიდია?

—არა და არც მაქვს სურვილი.

—განსაკუთრებით გიყვარს რომელიმე?

—ყველა ერთნაირად მიყვარს.

—შენ დაკავებული ხარ საამქროებში, სადაც შენ მიერ გაფორმებული ავეჯი ხელოვნების საუცხოო ნიმუშებადაა აყვანილი. და მაინც ხომ არ ფიქრობ—იქ გატარებულ წლები შენთვის უქმად დახარჯული დროა, ზოგჯერ ხელოსნის ამპლუაში ყოფნა ხომ არ გალიზიანებს?

—საამქროში მუშაობამ ბევრი რამ მომცა, პიკასოს—60 წლისას, დურგლობა სპეციალურად შეუსწავლია, თუმცა ზოგჯერ კი მიფიქრია, რომ ეს არ არის ჩემი სამყარო, ჩემი სუბიექტური განცდების არეალი. მთელი დღე რომ „ცეხში“ ტრიალებ გავიწყდება, რომ მხატვარი ხარ.

—პროვინციას მაინც თავის კანონები აქვს, თავისი ფასეულობები და დონე. სულით ხორცამდე ხელოვანს ხომ არ მოგანვება იმის ნოსტალგია გაეცალო სოფლის ერთფეროვნებას, მოწყენილობას, მიაშურო კოლეგებს, მეგობრებს, დაახლოებული აზროვნების ადამიანებს, შენს წრეს?

—მეგობრები არც აქ მაკლია, მაგრამ დროდადრო გავიქცევი დედაქალაქში, ბიჭებს მოვინახულებ, შევივსები და...

—მხატვარს და მის ნაღვაწს, ბუნებრივია, დამნახავი სჭირდება, შემფასებელი და დამფასებელი. ღვთის მადლით, ეს ასეცაა, მაგარმ მოდი, გულახდილები ვიყოთ: ხომ გიგრძვნია, რომ საზოგადოების რაღაც ნაწილს არ ესმის შენი, სულ სხვა ხედვა აქვს, სხვა მენტალიტეტი. გული გტკივა, გეწურება, მაგრამ ვერაფერს შეცვლი, ეს რეალობაა.

—განმიცდია ასეთიც, მაგრამ რა უნდა ქნა? ამ კატეგორიასაც შენ უნდა გაუგო, სად გინდა გაიქცე?

ან ასე ადვილია გაქცევა?

ისე გამართლებაცაა ცხოვრება.

—დათო! ცაგერის პირობებშიც შეგეძლო ნორმალური სამუშაოს შოვნა, მე შენ გეტყვი და შენნაირი პროფესიონალები ბევრი გვყავს. სურვილი არ გაქვს თუ რა ხდება?

—სამხატვრო სკოლაში მაქვს საათები. მაგრამ არ ვიცი მივბრუნდები თუ არა სექტემბერში. არიან მხატვრები, რომლებიც ცდილობენ პედაგოგები გახდნენ და ამას მივესალმები, მაგრამ მასწავლებელი თუ ხარ, მასწავლებელი უნდა იყო—. ჩემს შემთხვევაში ცოტა სხვანაირად არის საქმე. ისედაც ბევრი დრო დავკარგე.

—ახლა რომ პროფესიას ირჩევდე, მხატვრობას აირჩევდი?

—აუცილებლად, მგრამ ცოტა სხვანაირად შევხედავდი რაღაც—რაღაცეებს.

—ხარ თუ არა ბედნიერი?

—ჩემის აზრით, ბედნიერება ძიებაშია. აი, უბრალოდ, როცა მორიგ ნამუშევარს დაასრულებ, ესეც ბედნიერებაა. ეს ისეთი გრძნობაა, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლე.

—ამჟამად რაზე მუშაობ?

—ქვაში ვხტავ პორტრეტს. ეს ჟანრი განსაკუთრებით პრაქტიკულია.

ვმუშაობ ხეზეც, ტილოზეც, გრაფიკაშიც. თუ მხატვარი ხარ, ყველას უნდა ფლობდე, თუმცა ფერწერა მაინც ყველაზე ღვიძლია ჩემთვის. უბედურება ის არის, რომ კარგმა ფერმწერმა შვიდი ფერი მაინც უნდა შეიძინო, პლუს სხვა ხარჯები. ამას კი ძლიერი ბიუჯეტი სჭირდება.

—სამომავლოდ რას გეგმავ?

—მინდა შემოქმედებითი სახელოსნო გავხსნა.

—სად?

—სადაც მხატვრისათვის შესაბამისი გარემო და ელემენტალური პირობები მაინც იქნება.

ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲗᲘ

—შეიძლება პირად ცხოვრებაზე რამდენიმე კითხვა?

—ეს უკვე დელეკატური თემაა.

—რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის ოჯახი? და რას ფიქრობ, ვიდრე არ არის ძალიან გვიან?

—ალბათ, რაღაც-რაღაცეები უნდა შევცვალო ჩემი ცხოვრების წესში. ისე თავს არ ვიმშვიდებ, ეს მხატვრების საერთო უბედურებაა.

—სამეგობრო წრეები სხვებიცაა უცოლო?

—საკმაოდ ბევრი.

—ქალში ყველაზე მეტად რას აფასებ?

—მხატვარი პირველად ვიზუალურ მხარეს—სილამაზეს აფიქსირებს, მერე ჩემთვის გაზრდილობა და ინტელექტია მთავარი.

ისე მარტოსულად სულაც არ ვგრძნობ თავს დედმამიშვილები და დისშვილ-ძმისშვილები მავსებენ, გვერდში მიდგას ოჯახი. არც სოფლის პრობლემები და საქმე მაშინებს. თოხნის დროს ვთოხნი.

—ისევ პროფესიული კითხვა, რომელიც გამომრჩა.

—მაინც რა არის მხატვარ დათო შკუბალიანის სტილი?

—კომუნისტური რეჟიმის დროს ყველა ჟანრში აკადემიურ სტილს ითხოვდნენ. მერე თავისუფლება და ინდივიდუალიზმი შემოვიდა. ზოგმა როგორ გაიგო და ზოგმა როგორ.

ჩემი სტილი და ხედვა? უმჯობესია ეს სხვამ შეაფასოს. ერთს კი ნამდვილად გეტყვით—თუ შენ ბოლომდე მოგწონს რასაც ქმნი—აქ თავდება შენი შემოქმედება. ამდენად ძიება და მხოლოდ ძიებაა ჩემი კრედო.

—ყველაზე მნიშვნელოვანი რაა შენს პროფესიაში?

—ჩემის აზრით, დღეს პროფესიონალური პატრიოტიზმის დროა, ხელოვანი მშვენიერის შემოქმედია, მშვენიერება კი მხოლოდ სიმართლეშია. ამიტომ ვცდილობ მართალი ვიყო ჩემს პროფესიულ სინდისთან, ადამიანებთან ვიყო მართალი.

* * *

კარგა ხანს დავყავი ამ საინტერესო ოჯახში, ჩვენთან დიალოგში ნათიაც შემოვიდა წიგნიერი და ხელოვნებაშიც მშვენივრად ჩახედული ახალგაზრდა რძალი, მაზლის ნიჭის დამნახავი და შემფასებელიც.

თამარი კი ძველებური შემართებით მიდი-მოდის ეზო-კარში, ხან ჩვენ შემოგვეხმიანება, ხანაც შვილიშვილებს...

ამასობაში დათომ თავის ნამუშევრები შემოიტანა და ჩვენს თვალწინ განფინა, ერთ ოთახში დახვეულ მდგომარეობაში რომ ინახავს მხატვარი. ინტერესით ვათვალიერებ. ჩემს წინ საოცარი ფერებია, მშვიდი და ჰარმონიული, თითოეულში მხატვრის ხასიათი დევს, მისი განცდა და ფიქრი. მხვდება პატიროტულ თემები და არა მარტო ეროვნული ლოკალით შემოსაზღვრული, რელიგიურიც, პორტრეტიც, ბევრ ნახატში აბსტრაქციული ელემენტებია, რაც მხატვრის საიდუმლოებაა.

ერთი რამ აშკარად მენიშნა—ცხენი დომინირებს მის წარმოსახვაში ვფიქრობ, ეს უნდა იყოს ახალგაზრდა მხატვრის კრედო: წინ სწრაფვა და როკვა ბედაურივით, ჟინი თავისუფლების, ჟინი ამღვრეული დღევანდელობის შეცნობის.

დასანანია, რომ ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრებს დღის სინათლე ენატრება, ჩარჩო და მინა ენატრება, სივრცე ენატრება.

შემოქმედებითი ოფისი რომ მქონდესო—გულდაწყვეტილმა თქვა და ეს სიტყვები არ მავიწყდება...

ᲛᲖᲔᲕᲘᲜᲐᲠ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ

წმიდა მაქსიმეს ნაკვალევზე

მიმდინარე წლის ივლისში ლეჩხუმში, კერძოდ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სტუმრად იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული ექსპედიცია. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ფოლკლორისტიკის დეპარტამენტის პროფესორი ზურაბ კიკნაძე, ასოცირებული პროფესორები ღვთისო მამისიმედაშვილი და ტრისტან მახაური. ექსპედიციის მიზანი იყო მაქსიმე აღმსარებლის შესახებ გავრცელებული თქმულებების გამოვლენა, რომელიც მხოლოდ ლეჩხუმის მოსახლეობაშია გავრცელებული. ეს არის რიგით მესამე ექსპედიცია, რომელიც საგანგებოდ აგროვებს და სწავლობს ფოლკლორულ გადმოცემებს წმიდა მაქსიმეს შესახებ.

პირველი ექსპედიცია, წმიდა მაქსიმეს საფლავის დასადგენად, მოეწყო 1914 წელს აკადემიკოს ნიკო მარის ხელმძღვანელობით, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით. ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები და ჩაწერილი იქნა დიდძალი ზეპირსიტყვიერი მასალა წმინდა მაქსიმეს ცხოვრების შესახებ, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ხელი შეუშალა ექსპედიციის შემდგომ მუშაობას და კვლავ გამოსაკვლევი დარჩა ბევრი საკითხი.

მეორე ექსპედიცია ჩატარდა 1969 წელს პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის მასალები გამოქვეყნდა მიხეილ ჩიქოვანის წიგნში „ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები." სადაც დაიბეჭდა როგორც 1914 წლის ექსპედიციის მასალები, ასევე მის მიერ შეგროვილი გადმოცემები.

პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმა 1969 წლის ივლისის თვეში ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა პირველი ექსპედიციის (1914 წ.) ფოტომასალის გარკვეული ნაწილი, რომელიც დაცული იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის არქივში. ფოტომასალაში ნაჩვენებია ბეკოლია კვირიკაშვილი–80 წლის ჩხუტელელი გლეხი, მაქსიმე აღმსარებლის ლეგენდების მთქმელი და „მურობის" მონაწილე. დადიანის ყოფილი სასახლე, ეკლესიის ერთ–ერთი სამაროვნიდან ამოღებული შვიდი ძმა ჩარკვიანის ჩონჩხი, ასევე მურში შერჩილი ცაგერ–ლეჩხუმის მაზრის საზოგადოებრიობა, ნიკო დადიანის მურის მამულის მოურავი. სოფრომ სვანიძე მეუღლითურთ, რიტუალური პროცესია „მურობა" (ამინდის გამოთხოვა) ბეკოლია კვირიკაშვილის მონაწილეობით, თითოეულს ღვლეჭი აქვს მოჭერილი და სხვა საინტერესო ფოტომასალა.

ექსპედიციის წევრები დიდად კმაყოფილი დარჩნენ პრ. მიხეილ ჩიქოვანის მიერ პეტერბურგის არქივიდან მოწოდებული, მუზეუმში დაცული, ფოტომასალის ხილვით, რაც პირდაპირ პასუხობდა მათი ექსპედიციის მიზანს.

დღეს მოქმედი ექსპედიცია იკვლევს რამდენად არის შემორჩენილი ლეჩხუმის მოსახლეობაში წმ. მაქსიმეს ხსოვნა, იმართება თუ არა მისი სახელობის ხალხური დღესასწაული და სხვა.

ექსპედიცია მუშაობს დაადგინოს ის მარშუტი რომლითაც, ხალხური გადმოცემის მიხედვით, გაუხედნავს ხარებმა გაატარეს წმ. მაქსიმეს ცხედარი სოფელ დეხვრიდან მურამდე. სადაც ამჟამად წმ. მაქსიმეს სახელობის ეკლესია აგებული.

ექსპედიციის წევრებმა უმეტესად საკუთარი ფეხით გაიარეს ეს წმინდა გზა. მათ ისარგებლეს ლეჩხუმში ყოფნით და ძირითადი მიზნის პარალელურად მოიძიეს ხალხში შემონახული სხვა ფოლკლორული მასალა, მათ შორის თქმულება ჟივეიასა და ვაჟინას შესახებ.

ამ მიზნით ისინი იმყოფებოდნენ სოფელ დეხვირში, ლესინდში, წილამიერში, ჩხუტელში, ლასხანაში, ორბელში, სპათაგორში, ლაილაშში და სხვა. მათ კიდევ ერთხელ დააზუსტეს ხალხში შემონახული ლეგენდები და თქმულებები წმიდა მაქსიმეს შესახებ.

თინა საღინაძე,
ცაგერის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის ფონდების გამგე

ღიმილი, რომელსაც სიკვდილი ვერ ფლის
მარინა საღინაძე

ჩვენი მარო! ღიმილიანი, სიცილიანი, კეთილი, უანგარო, სხვის დარდზე მოდარდე და სხვისი სიხარულით ბედნიერი.

რა მოხდა? რატომ? რისთვის? თან ასე მალე.

ჯერ ზაცრეცილი ღიმილი, მერე შიშით სავსე თვალები, ტკივილები სხეულის და სულის, ბავშვებზე დარდი უჩემოდ რა ეშველებათ, სიკვდილის არ გეშინოდა_ჩემს ირგვლივ ძალიან ბევრი სიკვდილიაო, თან უახლესი და უსაყვარლესი ხალხიო, ჩვენ გვეშინოდა...

შენ კი იმედიანი იყავი, ყოველთვის სამომავლო გეგმებზე ლაპარაკობდი, სოფიკოს სკოლაში შეყვანა, ლევანის მომავალი ყოველთვის თვალნათლივ წარმოგედგინა, იქნებ გრძნობდი?!

ყოველთვის შენსკენ მოგვიხაროდა. ცუდი არა, ძალიან ცუდი ყოფილა სიკვდილი, არადა, თითქოს სიკვდილით ედებაო სიცოცხლეს ფასი. ფრთიანი სიტყვები უადგილო ყოფილა სიკვდილთან, მხოლოდ ცრემლი და დარდია სიკვდილის თანამდევი.

ვაჰ, დედაშენსო!.. ყოველდღე ტირის დედაშენი.

დედიკო სად არისო?_ჩუმად ფიქრობენ შენი შვილები

მძიმე ტვირთი ხვდა ბაქარს...

ჩვენ კი შენი უზომო სიყვარული, უამრავი ღიმილი და განუქარვებელი სევდა გვერგო.

ჩვენი მარი!

მგონი ვერაფერი ვერ ვთქვით რასაც ვფიქრობდით დ ვგრძნობდით, მხოლოდ ფიქრები დარჩა_საიდან მოდიოდა ამდენი სიკეთე და ღიმილი?!

მეგობრები

სევერიან მუშკუდიანი

რაიონის საზოგადოებას, ომისა და შრომის ვეტერანებს კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება, ლეჩხუმელი სევერიან მუშკუდიანი გამოაკლდა.

სევერიანი დაიბადა 1922 წელს ცაგერის რაიონის სოფ. ლასურიაშში. სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, შემდეგ კი მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიაში, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, საიდანაც მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა. ომის შემდგომ იგი ლასურიაშის საშუალო სკოლის სამხედრო საქმის მასწავლებელია, საიდანაც დეხვირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ გადაჰყავთ, აქედან კომკავშირის ცაგერის რაიკომის მეორე მდივნად.

ს. მუშკუდიანი კომკავშირული სამუშაოდან პარტიის რაიკომში გადაჰყავთ ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ კი განყოფილების გამგედ. პარალელურად იგი დაუსწრებლად ამთავრებს ისტორიის ფაკულტეტს და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს მეტყევე-ინჟინრის სპეციალობით. პენსიაში გასვლამდე სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. იგი წლების მანძილზე რაიონის ომის ვეტერათან საბჭოს ხელმძღვანელობდა. იყო ქალაქისა და რაიონის რაიაღმასკომის წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი. მიღებული ჰქონდა სამამულო ომის I ხარისხის, საპატიო ნიშნის ორდენები და მედლები. იყო შრომისა და ბრძოლის ვეტერანი.

ბატონი სევერიანი რაიონის საზოგადოებამ ღირსეულად გააცილა უკანასკნელ გზაზე და არაერთხელ მიაგებს კიდევ მას პატივს თავისი განვლილი ცხოვრებიმ გამო.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს!

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო,
ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ომისა
და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი

კონსტანტინე სილაგაძე

ცაგერის რაიონის ომის ვეტერანების რიგებს გამოაკლდა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამსახურებული პიროვნება–კონსტანტინე ალექსის ძე სილაგაძე.

დაიბადა 1922 წელს სოფ. ქვედა ცაგერში. ცაგერის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გაიწვიეს არმიაში. დიდი სამამულო ომის დაწყებისას იგი სამხედრო-სავალდებულო სამსახურს ბესარაბიაში, საზღვრისპირა რაიონში გადიოდა.

კონსტანტინემ პირველი საბრძოლო ნათლობა ქალაქ უმანის დაცვისთვის გამართულ ბრძოლაში მიიღო. მისმა ქვემეხმა ფაშისტების სამი ტანკი გამოიყვანა მწყობრიდან. გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის მიხეილ კალინინმა თავისი ხელით მკერდზე ჩამოკიდა მედალი „მამაცობისათვის".

განსაკუთრებით წარმატებული იყო კონსტანტინეს საბრძოლო გზა 1943 წლიდან. 37-ე დივიზიის არტილერისტები, რომელთა რიგებში იგი იბრძოდა, გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ უკან დახეულ ფაშისტთა ჯარებს. ყუბანისა და კრიმსკის განთავისუფლებისათვის იგი მეორედ დაჯილდოვდა მედლით „მამაცობისათვის". თავი გამოიჩინა ნოვოროსისკისათვის ბრძოლებში და წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვეს. კიევიდან მტრის განდევნის დროს გამოჩენილი თავდადებისათვის სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი დაიმსახურა, ხოლო ქალაქ რასკენბურგის შტურმით აღებაში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი გადაეცა.

ფაშისტური ურდოებისაგან საბჭოთა მიწაწყლის განთავისუფლების შემდეგ კონსტანტინე იბრძოდა რუმინეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის ქვეყნებიდან რეიხის ჯარების განდევნისათვის. თავისი საბრძოლო ოდისეა 1945 წლის 11 მაისს პრაღაში დაამთავრა.

ორდენებთან ერთად იგი დაჯილდოებული იყო მრავალი საბრძოლო მედლით, მათ შორის მედლებით „კავკასიის დაცვისათვის", „ბელგრადის განთავისუფლებისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის". მიღებული ჰქონდა უმაღლესი მთავარსარდლის ი.ბ. სტალინის 14 მადლობა. ფრონტის სარდლების 11 მადლობა.

ომის დამთავრების შემდეგ კონსტანტინე აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ვეტერანული ორგანიზაციების საქმიანობაში, ეწეოდა ნაყოფიერ შრომით საქმიანობას. შექმნა

შესანიშნავი ოჯახი. დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა ომის ვეტერანებში, მთელ ჩვენს საზოგადოებაში.

მისი ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება არა მარტო ოჯახის წევრებისათვის, არამედ მეგობრების, უახლოესი ამხანაგების, ომის ვეტერანებისათვის.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ომისა და სამხედრო ძალების
ვეტერანთა კავშირი

ზაურ ვლადიმერის ძე მუშკუდიანი

ჩემო საყვარელო მამა! 10 ივლისს 1 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან... უსაზღვროდ გვენატრები, ვერ ვეგუებით უშენობას, იმას, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ.

მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალება, იმდენად მოულოდნელი, რომ ახლაც ეზოში გამოსვლისას გვგონია აქვე, ახლოს ჩვენს გვერდით ფუსფუსებ, ჩენს დანახვაზე სახე გაგებადრება, გულში ჩაგვიკრავ და მოგვეფერები.

მამა! დააკლდი შენს დიდ ოჯახს, სამეზობლოს, სამეგობროს და სანათესაოს, ყველას, ვინც კი გიცნობდა და შენი კაცობის ამბავი იცოდა.

წლების მანძილზე იყავი რაიონში სხვადასხვა სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე. იყავ მაღალი პასუხისმგებლობის, გაწონასწორებული, უმწიკვლო ხელმძღვანელი. „კარგი ზაური" ასე გიხსენებენ დღესაც.

მოსიყვარულე იყავი შვილების, შვილიშვილების, შენი ოჯახისა და საერთოდ ადამიანების. შენ სიძულვილი არ იცოდი.

უდიდესი ტკივილი წაიღე ამქვეყნიდან. ადრე გამოგეცალა მეუღლე, შენ გაორმაგებულად გადაეფარე შენს ოჯახს და დედა-ბოძის წაქცევა არ გაგვაგებინე. დაგვაფრთიანე და გზაზე დაგვაყენე, ისე, რომ მეორედ ოჯახის შექმნაზე არც გიფიქრია.

მეამაყები და მენატრები უსაზღვროდ. ენატრები შენს ერთადერთ ძმასაც.

გჯეროდეს, სანამ ჩვენ ვიარსებებთ, შენს სახელს არ წავაქცევთ, ცოცხალი ყვავილები და სანთელი არ მოაკლდება შენს საფლავს.

იძინე, შვიდად ჩვენო მონატრებულო მამა, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

ლია და ტარიელ ხმელიძეები

უახლესი ნათესავები ბუხუ, ვახტანგ, სოსო, თემურ შკუბულიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჟორა არსენის ძე შკუბულიანი

და სამძიმას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეზობლები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო შკუბულიანს, მუხრან ლიპარტელიანს ბიძის

ჟორა შკუბულიანის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის „ხვამლი" რეგიონის ჩემპიონია

საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თასის გათამაშების რაიონულ ტურნირში მონაწილეობა მიიღო 37-მა გუნდმა. შეჯიბრება ჩატარდა სამ ზონად ლაჯანაში, ალპანასა და ბარდნალაში. ოლიმპიური სისტემით.

ზონებში გამარჯვებულმა 8 უძლიერესმა გუნდმა ისასპარეზა დასკვნით ტურნირში, რომელიც ბარდნალის საჯარო სკოლის ხელოვნურ საფარიან სპორტულ მოედანზე გაიმართა.

მეოთხედფინალურ შეხვედრებში ასეთი შედეგები დაფიქსირდა: „ხვამლი" ცაგერი—ღვირიში 2:0

ქვედა ცაგერის „სიბიკარი" —ჩხუტელი 2:0

„სტადიონის უბანი" ცაგერი —ლაჯანის „გაგულეჩი" 4:2

„შევადრენი" (გამგეობა) —„იმედი" ლაცორია 3:7

ნახევარფინალური მატჩები განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა

ცაგერის „ხვამლმა" დაძაბულ ბრძოლაში 4:3 დაამარცხა ქვედა ცაგერის „სიბიკარი".

სოფელ ლაცორიის „იმედმა" სძლია ცაგერის „სტადიონის" უბნის გუნდს 4:2.

შეჯიბრების ფინალმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ „ხვამლი" და ლაცორიის „იმედი". შეხვედრა წარიმართა გარდამავალი უპირატესობით და დამთავრდა ცაგერის „ხვამლის" გამარჯვებით 3:2.

გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდა სპეციალური თასით და ფულადი პრიზით.

მინი ფეხბურთელთა გრანდიოზული რაიონული ტურნირი გადაფარა რეგიონალურმა შეჯიბრებამ, რომელიც საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ოფისის გადაწყვეტილებით ჩატარდა ბარდნალაში.

ბარდნალის საჯარო სკოლის ხელოვნურ საფარიან ფეხბურთის მოედანზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი.

რეგიონალური ტურნირს ესწრებოდა პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში პაატა კიკვაძე.

სპორტული ღონისძიება გახსნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ომარ ჭაბუკიანმა, სპორტული ღონისძიების მონაწილეებს სიტყვებით მიმართეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვახტანგ კერესელიძემ და საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა ლევან მეტონიძემ. აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და აღიმართა სახელმწიფო დროშა.

კენჭისყრის შედეგად ერთმანეთის პირისპირ დადგნენ —ლენტეხისა და ონის გუნდები გაიმარჯვეს ონელებმა 8:5.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში ცაგერის „ხვამლის" გუნდმა დამაჯერებლად სძლია ამბროლაურის გუნდს 7:1..

„ხვამლი" მოქმედებდა ელსივებური სისწრაფით, მახვილგონივრული გადაცემებით და მაღალი ოსტატურობით. პირველ 6-7 წუთში სამი უპასუხო ბურთი აღმოჩნდა სტუმრების კარგი, რამაც გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი.

III (მესამე) ადგილისათვის ბრძოლაში ლენტეხის გუნდმა სძლია ამბროლაურის ფეხბურთელებს 3:2.

ფინალური შეხვედრა უშელავათო გამოდგა. ონის გუნდმა, რომელიც ფიზიკურად ძლიერი მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული, პრესინგს მიმართა მთელს მოედანზე, რამაც გარკვეულად შებოჭა „ხვამლის" ტექნიკური და სხარტი მოთამაშეების მოქმედების არეალი.

თუმცა საფეხბურთო ენით თუ ვიმსჯელებთ „ხვამლი" დომინირებდა მთელი თამაშის განმავლობაში. კარგად ითამაშა ორივე გუნდის მეკარემ, მაგრამ განსაკურებით ქების ღირსია „ხვამლის" გუნდის გოლკიპერი აჩიკო გოლეთიანი, რომელმაც არაერთხელ გაიბრწყინა.

მეორე ტაიმში „ხვამლი" აბობოქრდა, მაგრამ გოლი არა და არ ჩანდა. ამ დროს თითქოს უწყინარ სიტუაციაში მეკარის მიერ ოსტატური მოწოდება ოსტატურად გამოიყენა ცაგერელთა თავდამსხმელმა თემურ ახვლედიანმა, რომელმაც კარგად ისარგებლა ონის გუნდის მეკარის ერთადერთი შეცდომით და თავური დარტყმით ბურთი მოათავსა სტუმართა კარში.

დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია ონის გუნდი შეტევაზე გადავიდა, თუმცა „ხვამლი" არათუ კარგად იცავდა კარს, სახიფათო მომენტებიც არა ერთი შეუქმნა მოპირდაპირე მხარეს. საბოლოოდ 1:0 ცაგერის „ხვამლი" დამსახურებულად გახდა რეგიონული ტურნირის ჩემპიონი, მას გადაეცა ტურნირის მთავარი პრიზი—რეგიონალური თასი.

უდავოდ ქების ღირსია „"ხვამლის" მთელი შემადგენლობა მეკარე აჩიკო გოლეთიანი, დათო და გიორგი კვირიკაშვილები, თემურ და გიორგი ახვლედიანები, ჭაბუკა ბურჯალიანი, მიშიკო მეშველიანი, ვეგო ყურაშვილი, ლევან ხეცურიანი, მამა-შვილი, გია და ირაკლი სილაგაძეები. მწვრთნელი პორფილე კოპალიანი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის პრიზები გადაეცათ.

საუკეთესო მოთამაშეს—თემურ ახვლედიანს („ხვამლი")

საუკეთესო მეკარეს—აჩიკო გოლეთიანს („ხვამლი")

ტექნიკურ მოთამაშეს—დათო ჩალაძეს (ონი)

საუკეთესო მცველს—არჩილ მეტრეველს (ონი) .

ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელს რეზო ვახტანგაძეს (ამბროლაური)

რაიონის პროკურატურის მიერ დაწესებული პრიზი გადაეცა ლენტეხის გუნდს.

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსმა ნატო სილაგაძემ პირადად დაწესებული პრიზი —„მაყურებელთა სიმპათია" გადასცა ხვამლის მეკარე აჩიკო გოლეთიანს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ გაერთიანებული სასამართლოს თავმჯდომარემ ლეილა გურგუჩიანმა მრავალფეროვანი სამახსოვრო პრიზები უძღვნა ოთხივე გუნდს.

უნდა აღინიშნოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის, პოლიციის, აქტიური მხარდაჭერის შესახებ.

ღონისძიებების მოწყობაში დიდი წვლილი შეიტანეს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის გაერთიანებული სამსახურის ყველა თანამშრომელმა, ბარდნალის საჯარო სკოლის ხელმძღვანელობამ (დირექტორი: მთვარისა ახვლედიანი).

დიდი მადლობა ბატონ ვალერი გიორგობიანს ქვეყანაში ამ ლამაზი სპორტული ღონისძიების ერთ-ერთ ინიციატორს მხარადჭერისა და თანადგომისათვის.

ცაგერის „ხვამლის" მინი ფეხბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო პრეზიდენტის თასის გათამაშების ქვეყნის პირველობაში უძლიერეს 10 გუნდთან ერთად.

გოგი კვირიკაშვილი,
ჩვენი სკ. კორესპონდენტი

სპორტი

კიდევ ერთი ჩემპიონი



თიანეთის რაიონის სოფელ მელიასხევში ჩატარდა წარსულში ცნობილი ფალავნის თემურ წამალაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ცაგერის მოჭიდავეთა გუნდი (მწვრთნელი კობა ქომეთიანი).

65-კილოიან წონით კატეგორიაში ბრწყინვალედ ისასპარეზა ცაგერელმა თეიმურაზ ახვლედიანმა, რომელმაც ზედიზედ სამი მოგების შემდეგ ფინალში წმინდა გამარჯვება მოიპოვა თიანეთელ მოჭიდავესთან და გახდა ესოდენ პრესტიჟული ტურნირის ჩემპიონი.

ვულოცავთ თეიმურაზს ამ შესანიშნავ წარმატებას.

გია სილაგაძე

გილოცავთ!

დარეჯან სადინაძეს, ზურა ძნელაძეს

გილოცავთ ოჯახის შექმნას! გისურვებთ მედნიერებას.

უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეთ.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" რედაქცია

განწყობისათვის

მე ვწერ ამ სტრიქონებს მთვარიან ღამეში, როდესაც წვიმის წვეთები ეცემიან მიწას და როცა სიშორეზე ტირის როიალი.

■ ■ ■

მე ქვეყნის გაჩენიდან ნელა მოვდიოდი სინათლისაკენ, რომ მეხილა მზე.

■ ■ ■

მე პოეზიამ მაგრძნობინა,რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული.

■ ■ ■

არა სიცოცხლე,- არა სიკვდილი, არაედ რაღაც სხვა...

■ ■ ■

ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი, როდის ამოვალ იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მიწა.

■ ■ ■

შუაღამე ჩამოეშვა

ხატების წინ ხელაპყრობილი ვდგავართ მე და... გაფითრება.

ტერენტი გრანელი

რედაქტორი თამარ დავითულიანი | პასუხისმგებელი მდივანი მზევინარ ძნელაძე | სარედაქციო კოლეგია: ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი | მისამართი: ცაგერი, რუსთაველის №47 ტელ: 899 951678 | გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს „მანდარიას სტამბაში" ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33 ტელ: 23779, 23499